

*ო.კონოპელკინა, ი.ბეზროდნიხი*

*ივან ფრანკოს სახელობის*

*დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## საშუალო სკოლაში უცხო ენის ცოდნის გაძლიერება მულტილინგვური განათლების ფარგლებში

### აბსტრაქტი

სტატია წარმოადგენს კანადისა და უკრაინის თანამედროვე საშუალო განათლების სისტემებში უცხო ენების სწავლების მეთოდების შედარებით ანალიზს. სტატიაში ხაზგასმულია მათი განვითარების მულტილინგვური ასპექტი.

*საკვანძო სიტყვები:* მულტილინგვური განათლება, სწავლების მეთოდები, ფსიქოლოგიური ლოგიკა, მიდგომა.

წინამდებარე კვლევა ეხება მულტილინგვური განათლების ფარგლებში ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების გზების ძიების პრობლემას უკრაინის თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ამ საკითხის აქტუალობა განსაზღვრულია რიგი ფაქტორებით, რომლებიც მოიცავს გადაუდებელ პრობლემას - სწავლების მეთოდების მუდმივ სრულყოფას მოთხოვნების მუდმივი ზრდით განათლების სისტემის, როგორც მთელის მიმართ; მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება: გათვალისწინებულია ისიც, რომ ეს ფაქტორები სხვადასხვა კუთხიდან არის დანახული

გლობალიზაციის პროცესის პირობებში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა უპასუხოს მულტიკულტურული და მულტილინგვური პიროვნების აღზრდის სტანდარტს, რომელიც მომავალში კონკურენტუნარიანი იქნება ევროპულ სოციალურ სივრცეში.

გასაკვირი არ არის, რომ თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო წრეების და, მათ შორის, უკრაინულის, მძლავრი ინტერესი უცხო ენების სწავლების სფეროში ხარისხობრივ ცვლილებებზეა კონცენტრირებული. შემთხვევითი არ არის, რომ ყურადღების ცენტრში ინგლისური ენის სწავლება აღმოჩნდა, რადგან ინგლისური ენა კვლავ

წამყვან პოზიციებზეა უკრაინულ სკოლებში. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ინგლისური ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და გავლენიანი ენაა მსოფლიოში - ერთ-ერთი ექვს ოფიციალურ ენათაგან, გაერთიანებულ ერებში. მაშასადამე, ეს არის საერთაშორისო კროსკულტურული კომუნიკაციების ენა. თანამედროვე ახალგაზრდობა, რომელიც სწრაფი კულტურული და სოციალური ცვლილებების ქვეშ მყოფ პროგრესულ საზოგადოებაში ცხოვრობს, მოწოდებულია თვითგანვითარებისთვის და ინგლისურ ენას შეუძლია შეასრულოს საშუალო სკოლის მოსწავლეების მიერ მეცნიერების და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში საჭირო ცოდნის მიღების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტის ფუნქცია, ისევე, როგორც წარმოაგენდეს კომუნიკაციისა და გამოცდილების გაზიარების ინსტრუმენტს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, უკრაინის მთელი საშუალო განათლების სისტემა თვისებრივად ახალ საფეხურზე გადაჰყავს. თუმცა არ არის იშვიათი შემთხვევა, როდესაც ცოდნის დონე სკოლის პროგრამის სტანდარტებს არ ემთხვევა. ასეთ პირობებში, საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები კვლავ აქტუალური რჩება. როგორც ჩანს, უცხო ქვეყნის განმანათლებელთა გამოცდილების შესწავლა ერთ-ერთი გზაა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

ამკარა ფაქტია, რომ ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის გაუმჯობესება

საშუალო სკოლებში არა მხოლოდ უკრაინელი მოსწავლეების უცხო ენის ცოდნის დონეს გააუმჯობესებს, არამედ იმოქმედებს უფრო გლობალურ საკითხებზეც, მაგალითად, როგორცაა უკრაინის განათლების სიტემის, როგორც მთელის, განვითარება, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას მეცნიერებისა და მრეწველობის ყველა დარგში.

ნათელია, რომ დღევანდელ დღეს ინგლისური ენის სწავლების მეთოდების გაუმჯობესება შეიძლება ჩაითვალოს გადაუდებელ პრობლემად, რომელიც რიგი ლინგვისტების, ფსიქოლოგების და მეთოდისტების განხილვის საგანია. სხვადასხვა ენის სკოლები და ენის კურსები საყოველთაოდ ცნობილი ინგლისურის სწავლების უამრავ მეთოდს იყენებენ, მათ შორის ენის სწავლების ინტერაქტიულ და სხვა მეთოდებს, რომლებიც ცნობილი ტექნიკების (აუდიოლინგვური, ინტენსიური, აქტიური და ეფექტურ-სემანტიკური ტექნიკები) და ახალი მეთოდების სინთეზის წყალობით გამოჩნდნენ.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის და მისი დერივატებისგან განსხვავებით, ინგლისური ენის სწავლების კომუნიკაციურ მეთოდზე გადასვლა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა ჩანს უცხო ენის უფრო ეფექტური სწავლების პრობლემის გადაჭრისთვის. კომუნიკაციური მეთოდის მიზანია, ასწავლოს სტუდენტებს კომუნიკაცია ცოცხალ ენობრივ გარემოში, განსხვავებით

გრამატიკის წესების მექანიკური არჩევის და იმ სიტყვების გაზეპირებისგან, რომელთაც სტუდენტი არასოდეს გამოიყენებს საკლასო ოთახსა თუ ყოველდღიურ ურთიერთობაში.

უცხოელი მკვლევრები დიდ ყურადღებას უთმობენ ამ ტექნიკის სწავლას და გაუმჯობესებას. კანადელი აკადემიკოსები და მასწავლებლები, მათ შორის: ჯ.კუმინსი, რ.მირზა, ა. ბიემილე, ლ. ლეოპოლდი და სხვები აქცენტს სწორედ ამ საკითხზე აკეთებენ [1; 2; 3; 4; 5; 6]. ცნობილი ფაქტია, რომ კანადა ბილინგვური ქვეყანაა, სადაც მოსწავლეების ნაწილი სწავლობს ინგლისურს, როგორც უცხო ენას. გარდა ამისა, მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე იძლევა ბიძგს, შეიქმნას ინგლისური ენის კურსები და სკოლები კანადის იმ მაცხოვრებლებისათვის, რომელთა მშობლიური ენა არ არის ინგლისური. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ვიპოვნოთ და განვახილოთ ინგლისური ენის, როგორც მეორე ენისა სწავლების ახალი მეთოდები კანადაში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა ინგლისური ენის სწავლების მეთოდების ზოგადი პრინციპების შედარებითი ანალიზის გაკეთება კანადასა და უკრაინაში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ყველაზე ეფექტურ მაგალითებზე, რომლებიც კანადაში გამოიყენებოდა.

ზემოთ აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით, გონივრულია, რომ ყურადღება გავამახვილოთ მოსწავლეთა

ენობრივ მომზადებაზე, რომელიც უკრაინაშია.

ყველასთვის ცნობილია, რომ 2005 წელს უკრაინა, ისევე, როგორც რამდენიმე სხვა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყანა, შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მთელი ქვეყნის სასწავლო აქტივობა. განსაკუთრებით, 2005 წლიდან 2013 წლამდე ჩვენ გავაკეთეთ ხანგრძლივი და აზრიანი გარღვევა ისეთ ახალ კატეგორიებთან გამკლავებით, როგორცაა სტუდენტთა სასწავლო აქტივობების კრედიტ-ქულებით შეფასება, სტუდენტთა მობილობის პრინციპები და სხვა. ასეთ სწრაფ ცვლილებებს განათლების სიტემაში არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა უცხო ენის სწავლების მეთოდებზე, რისი როლიც და მნიშვნელობაც რთულია, რომ გაზვიადებულად წარმოვადგინოთ თანამედროვე ევროინტეგრაციის პირობებში. კომუნიკაციურმა მიდგომამ, რომელიც უპირატესი იყო გარკვეული დროის განმავლობაში, გააკეთა ნამდვილი რევოლუცია მოსწავლეთა და მასწავლებელთა გონებაში. მან ასწავლა სასწავლო პროცესში ჩართულ მხარეებს სასწავლო პროცესში ინფორმაციის გადაცემა და ინფორმაციის გადაცემის სწავლება, ესე იგი, სწავლების ცენტრში ინფორმაციის დაყენება.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციური სწავლების მეთოდის წყარო, თითქოს ამოიწურა, ის მაინც არ ამოვარდნილა დღის წესრიგიდან... სწავლების თანამედროვე მეთოდებმა სწავლების ცენტრში „აქტიური,

კრეატიული და დამოუკიდებელი პიროვნება“ დააყენეს. ცნობილია, რომ ნებისმიერი ენის სწავლების საკითხი მჭიდრო კავშირშია პიროვნების კულტურის ზოგად დონესთან, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და ასევე გასათვალისწინებელია პიროვნების ცხოვრების ხარისხის საკითხიც. ასე რომ, ახალი კონცეფცია - მულტიკულტურული, მულტილინგვალი პიროვნების აღზრდა კრეატიული აზროვნებით - სასიცოცხლო მნიშვნელობისა გახდა ქვეყანაში ან საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და განსხვავებული კულტურების ინტერპრეტაციისთვის.

ენა გამოიხატება ბგერებით ან ხატებისა და ცნებებისა ჩანაწერებით, რომლებიც ჩვენი ქვეცნობიერიდანაა წამოსული. სიტყვები ასრულებენ მოქმედების ფუნქციას. იდეები ჩვენი მსოფლმხედველობის შემადგენელი ნაწილია და გზები, რომლებითაც ისინი გამოავლენენ თავს ფიზიკურ სამყაროში, როგორც ჩანს, აუცილებელია. ასე რომ, არავის შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ იდეები, რომლებიც ჩვენს გონებაში არსებობენ, ქმნიან ჩვენს ცხოვრებას.

უდავოა, რომ ჩვენ, გარკვეულწილად, ვართ ნაყოფი ჩვენი საზოგადოებისა, ჩვენი კულტურისა, შესაბამისად - ჩვენი მსოფლმხედველობა შედგება იდეებისაგან, რომლებიც ჩვენ შევისრუტეთ სოციუმიდან. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ის არის ცხოვრების არსი. ჩვენი მსოფლმხედველობა, პიროვნულობა, პრინციპები და მრწამსი „დამონტაჟებულია“ ჩვენში, როგორც

პერსონალურ კომპიუტერში, იმ ენის წყალობით, რომელზეც ვსაუბრობთ.

რუსულენოვან რეგიონში რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, უპირველესი ენაა უკრაინული და აგრეთვე - რუსული, რომელიც იცვლის მშობლიური ენისა და სახელმწიფო ენის სტატუსს ყველა ცალკეულ ოჯახში, როგორც სოციალურ ერთეულში და სოციალურ ჯგუფში. მაგრამ როდესაც საქმე ეხება სხვა ქვეყნის რეალიებს და სხვა ეროვნებასთან ურთიერთობას, რომელიც პრაქტიკულად გარდაუვალია თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში - მხოლოდ ერთი, მშობლიური ენის, ცოდნით შეუძლებელია, თავი უუნაროდ არ ვიგრძნოთ...

ამ თვალსაზრისით, უცხო ენის სწავლება იძენს ახალ მნიშვნელობას მთელი ქვეყნისათვის. ამიერიდან უცხო ენის ცოდნა არის პრაგმატულად ორიენტირებული, ინტერკულტურული პროცესი, რომელიც გულისხმობს ენისა და კულტურის სწავლების ინტეგრაციულ ბუნებას და პიროვნებას თავისი საჭიროებებით, მოტივით, სირთულეებითა და განსაკუთრებულობით ცენტრალურ ფიგურად განიხილავს.

უცხო ენის სწავლება საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში არის საშუალო და უმაღლესი განათლების ჰუმანიტარული კომპონენტი. 1980-იან წლებში (პირველი საბჭოთა კანონი უცხო ენის სწავლებულ სწავლების თაობაზე 1930 წლით თარიღდება) ბავშვები და შემდგომ მომავალი სტუდენტები სწავლობდნენ მხოლოდ ერთ დისციპ-

ლინას: „უცხო ენას“, ძირითადად ინგლისურს.

უკანასკნელ წლებში საკანონმდებლო ბაზამ უცხო ენების შესახებ განიცადა სწრაფი ცვლილებები. დღეს შეიმჩნევა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც შემცირებულია ასაკი, როდესაც ბავშვი იწყებს უცხო ენის შესწავლას: ბავშვები იწყებენ ინგლისურის შესწავლას მაშინ, როდესაც ისინი 4 ან 5 წლის ხდებიან და ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში არიან. ამასთან ერთად, უცხო ენის სწავლების შესახებ მოთხოვნები გაიზარდა სახელმწიფოს მხრიდანაც. განათლების მინისტრის 3.04.2012 #409 ბრძანების მიხედვით, მეორე ენის სწავლება მეხუთე კლასიდან სავალდებულო უნდა გახდეს 2013/2014 წლიდან.

ასე რომ, მოსწავლეები არა თუ ვერ გრძნობენ ვერანაირ სტრესს პირველი და მეორე უცხო ენის შესწავლისას, არამედ ისინი არიან ბუნებრივ კომუნიკაციურ გარემოში საშუალო სკოლიდან დაწყებული - უმაღლესი განათლების დაწესებულებებით დამთავრებული. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც არსებობს რიგი პრობლემებისა, რომლებიც მოტივაციის ან პრაქტიკის ნაკლებობითაა გამოწვეული და რაც სჭირდება კროსკულტურული კომუნიკაციის გაძლიერებას. მაშასადამე, უცხოელი განმანათლებლების გამოცდილებაზე ყურადღების გამახვილების საჭიროება ააშკარაა...

კანადის იმ სკოლებში, სადაც ინგლისური, როგორც უცხო ენა ისწავლება, სჭარბობს ენის სწავლების

კომუნიკაციური მეთოდი. შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესის ზოგადი პრინციპები ძალიან ჰგავს უკრაინულ მოდელს. თუმცა, რასაკვირველია, არსებობს განსხვავებებიც. პირველ რიგში, კანადაში არსებობს სასწავლო მასალების მინიმუმიზაციისა და კომუნიკაციის მაქსიმალიზაციის ტენდენცია. უკრაინის პირობებში (იმის გათვალისწინებით, რომ ის არ არის ინგლისურენოვანი ქვეყანა) კი ამგვარ პრაქტიკას დაბალი ღირებულება ექნება რამდენიმე მიზეზის გამო: ა) სასაუბრო უნარების განსავითარებლად ინგლისურენოვანი გარემოს ნაკლებობა საკლასო ოთახის გარეთ; ბ) ადეკვატური ლინგვისტური პრაქტიკისა და თეორიული ბაზისის ნაკლებობით მოსწავლეები შეიძლება ენის სტრუქტურაში „დაიკარგონ“ და სურვილი გაუქრეთ, ისწავლონ ის, რაც არ ესმით. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთმა კომუნიკაციური მეთოდის გამოყენებისას შეიძლება მხედველობაში არ მიიღოს ენის გრამატიკული სტრუქტურა ან პირიქით - იმუშავოს ლექსიკაზე და კომუნიკაციურ კონტექსტს მოკლებულ წესებზე.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის, რაც კანადელი მეცნიერების შრომებში ეფექტური ტენდენციაა: ეს არის საგანმანათლებლო პროცესების ფსიქოლოგიურ ბუნებაზე ფოკუსირება. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები სასწავლო პროცესის ცენტრში დგანან, აუცილებელია ყველაფრის გაკეთება იმისთვის, რომ საკლასო ოთახში თავი კომფორტულად იგრძნონ. ფსიქოლოგიური თვალთახედვით, უცხო ენაში გაწაფულობა

ფსიქოლოგიურ და მენტალურ მექანიზმებზეა დამყარებული. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კავშირი არის საკლასო ოთახში არსებული კომფორტული გარემოს არსი. მასწავლებელს მოსწავლეებთან უკუკავშირით ყოველთვის შეუძლია შეცვალოს გაკვეთილის ზოგიერთი ასპექტი; ასევე, აკონტროლოს გზა, რომლითაც მოსწავლეები ინფორმაციას იღებენ. ისინი ვარჯიშობენ „წერით ურთიერთობაში“ მასწავლებელთან ერთად. ეს მეთოდი მოსწავლეთა მიერ ფურცელზე შთაბეჭდილებების დაწერას გულისხმობს - თუ რა მოეწონათ ან არ მოეწონათ გაკვეთილზე. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ აღნიშნონ ის დავალებები და საკითხები, რომლებიც მათთვის რთული ან ძნელად გასაგები იყო.

**პრაქტიკული მაგალითი - როგორ აკეთებენ ამას კანადაში:** ყველა მოსწავლე წერს თავის მოსაზრებას წერილში და აწვდის მას მასწავლებელს. ანონიმური კორესპონდენცია არ უნდა აიკრძალოს, ვინაიდან ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საშუალება, გამოხატოს, თუ რა ვერ გაიგო... ასეთი კორესპონდენცია შეიძლება რამდენიმეჯერ ჩატარდეს (2-3-ჯერ) სემესტრში, ყველა თემის შემდეგ. გაკვეთილის შემდგომ, დაახლოებით 20 წუთი დაუთმეთ მოსწავლეებს, შესთავაზეთ მათ, დაწერონ მოკლე პასუხი სამ კითხვაზე; მაგალითად: როგორ გრძნობ თავს? ყველაზე მეტად რა მოგეწონა ინგლისურის გაკვეთილზე? რა იყო რთული

გასაგებად? კითხვები მასწავლებლის მიზანზე უნდა იყოს დამოკიდებული (იმისათვის, რომ გამოარკვიოს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა ან პრობლემები, რომლებსაც მოსწავლეები წააწყდნენ ენის შესწავლისას). დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ 1-2 შეკითხვა მათი განწყობების შესახებ და მათი სურვილის შესახებ: რა სურთ გააკეთონ გაკვეთილზე (ლინგვისტური თამაშები, ინგლისური სიმღერები, დიალოგების გათამაშება, კითხვა, ფილმების ჩვენება და განხილვა).

ამის გარდა, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ პასუხები არ უნდა იყოს ძალიან ვრცელი და რომ მხოლოდ მასწავლებელი წაიკითხავს მას (რომელმაც, ამასთანავე, არ იცის ავტორის ვინაობა). მოსწავლეებს არ შეეშინდებათ, იკითხონ და თქვან ისეთი რამ, რასაც სხვა შემთხვევაში კლასში მასწავლებელს არ კითხავდნენ. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს ექმნება შესაძლებლობა, ზუსტად შეაფასოს გაკვეთილი და ის მასალა, რომელსაც მოსწავლეები ამჯობინებენ.

ინგლისური ენის გაკვეთილის კიდევ ერთი ასპექტი კანადაში შესაძლოა გახდეს ინტერესის ობიექტი, კერძოდ, ე.წ. „holding classes“, სადაც მხედველობაშია მიღებული მოსწავლეთა აზროვნების ტიპი ან მათ მიერ ინფორმაციის აღქმა. მიზნის მისაღწევად გამოიყენება მოსწავლეთა პირობითი დაყოფა: აუდიო (ისინი, ვინც ინფორმაციას ხმის საშუალებით უკეთ აღიქვამენ), ვიზუალური (ისინი, ვინც

ინფორმაციას უკეთ აღიქვამენ მხედველობით, სურათების ან ფოტოების სახით) და დინამიური (რომლებიც უკეთ აღიქვამენ ინფორმაციას, როდესაც მოძრაობები არის ჩართულნი სასწავლო პროცესში) მოსწავლეები. მოსწავლეები დაყოფილნი არიან შესაბამის ჯგუფებად, რომელთაც ასისტენტ-მასწავლებელი უძღვება. ამ ჯგუფებში ინფორმაცია წარმოდგენილია განსხვავებულად - ბავშვების მიერ ინფორმაციის აღქმის უნარებიდან გამომდინარე.

თუ უფრო ჩავუკვირდებით ბავშვების დაყოფის ამ პრინციპს, ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ მსგავსება ჰოვარდ გარდნერის „მრავალხრივი უნარების თეორიასთან“, რომელიც უნარებს განასხვავებს სპეციფიკურ (პირველად მგრძნობიარე) “მოდალობებად“, მეტად, ვიდრე უნარს, როგორც ერთ ზოგად დომინირებულ შესაძლებლობას. ამ თეორიის მიხედვით, ინდივიდი ფლობს ყველა სახის უნარების უნიკალურ ნაზავს. ამ თეორიისთვის უნარების ტიპებია: მუსიკალურ-რითმული, სივრცულ-ვიზუალური, ვერბალურ-ლინგვისტური, ლოგიკურ-მათემატიკური, სხეულებრივ-დინამიური, ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური, ნატურალისტური, ეგზისტენციალური და მორალური. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი ქვეცნობიერად, მხოლოდ საკუთარი უნარების მიხედვით აწყობს გაკვეთილს. მაგალითად, უხვი ნახატებისა და სურათების გამოყენებით, ეს კი სიმძნელეს წარმოადგენს განსხვავებული უნარის მქონე ბავშვებისთვის, რომელ-

თათვისაც ვიზუალური აღქმა რთულია. ამიტომ საჭიროა ისეთი სავარჯიშოების შემუშავება, რომელიც მხედველობაში მიიღებს მოსწავლეების სხვადასხვა უნარსა და შესაძლებლობებს.

*თეორიის პრაქტიკული განხორციელების მაგალითი:* წლის დასაწყისში მოსწავლეებს უტარდება ტესტი, რომლითაც დგინდება მათში ყველაზე ძლიერი ტიპის უნარი (ეს შეიძლება სკოლის ფსიქოლოგმა გააკეთოს). მაგრამ თუ კანადის სკოლებში შემდეგი საფეხური არის კლასის დაყოფა ჯგუფებად, ეს ჩვენს სკოლებში არ გამოდგება, რადგან „სხვადასხვა უნარების თეორიის“ მიხედვით, ბავშვმა უნდა განავითაროს არა მხოლოდ თავის პირველადი ტიპის უნარები, არამედ სხვა უნარებიც...

ტესტის შედეგებისგან თავის არიდების ნაცვლად, მასწავლებელი მათ გაითვალისწინებს და შეეცდება, გააერთიანოს განსხვავებული ტიპის სავარჯიშოები თითოეული ტიპის უნარებისათვის, რაც დაეხმარებათ ბავშვებს, განავითარონ არა მხოლოდ ერთი, არამედ აზროვნების რამდენიმე გზა.

*ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა ტიპის გონებრივი უნარის განსავითარებლად:*

- ვერბალურ-ლინგვისტური უნარები: მოსწავლეები ამ ტიპის უნარებით მიდრეკილნი არიან ენების ათვისებისკენ. მათ შეუძლიათ ადვილად წაიკითხოთ,

- დაწერონ ესე და ისაუბრონ. მათი ყურადღების კონცენტრირებისთვის მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სიტყვა-თამაშები.
- ლოგიკურ-მათემატიკური უნარები: მოსწავლეები იაზრებენ სისტემურად სტრუქტურირებულ მასალას (გრამატიკის ცხრილებს, დიაგრამებს) სიტყვების დასწავლისთვის სავარჯიშოს მაგალითი: სქემის სახით შედგენილი ვერბალური რუკის შედგენა;
  - ვიზუალურ-სივრცითი უნარები: ვიდეომასალის გამოყენება გაკვეთილებისა და სავარჯიშოებისათვის. მეტი მასალა სურათების, ფოტოების და ა.შ. სახით;
  - სხეულის დინამიური უნარები: მოსწავლეები თავს კარგად გრძნობენ, როდესაც შეუძლიათ გაითამაშონ დიალოგი; აგრეთვე, ყველა აქტივობა, რაც მათი სხეულის მოძრაობას ასტიმულირებს;
  - მუსიკალურ-რიტმული უნარები: სიმღერების სწავლა, მოსმენა, მუსიკალური ვიდეოების გამოყენება;
  - ინტრაპერსონალური უნარები: შეიძლიათ გამოიყენოთ სიტუაციური დავალებები მოსწავლეებთან დიალოგზე შემდგომი მუშაობისთვის;
  - ინტერპერსონალური უნარები: ფსიქოლოგიური ტესტები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის შიდა სამყაროს გახსნას;

- ნატურალისტური უნარები: სხვადასხვა ექსკურსიისა და გაკვეთილების მოწყობა, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, მოამზადონ პრეზენტაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კულტურისა და ბუნების შესახებ;
- ეგზისტენციალური უნარები: წაიკითხო (მოუსმინო) ზოგიერთ პატარა მოთხრობას. მოსწავლეებს შეუძლიათ მოიგონონ დასასრული და ახსნან საკუთარი არჩევანი.

პრაქტიკაში განსხვავებული ტიპის სავარჯიშოები შეიძლება გამოყენებულ იქნის მონაცვლეობით. ამით მოსწავლეები უკეთ აითვისებენ მასალას და თითოეული ტიპის უნარები უფრო სწრაფად და უკეთესად განვითარდება თითოეულ მოსწავლეში. ამის შემდეგ, ფინალურ გაკვეთილზე, რომელიც წინ უძღვის ტესტს, მასწავლებელს ეყოლება კლასი, რომელშიც თითოეული მოსწავლე იღებს იმგვარ მასალას, რომელიც მის უნარს შეესაბამება. ამ ფაზაზე მასწავლებელს შეუძლია გაყოს კლასი ბავშვების უნარების ტიპების მიხედვით და მისცეს მათ ჯგუფური სამუშაო.

უფრო მეტიც, უცხო ენის სწავლების კანადური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია ინგლისურენოვანი ქვეყნების კულტურის ცოდნა. აღსანიშნავია, რომ ანგარიშ-პრეზენტაციები უკრაინის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ინგლისურის გაკვეთილებზე ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რაც ხშირად იწვევს მონოტონურ რეჟიმში ამბის განმეორებით მოყოლას, რაც მოსწავლეებს



აკარგვინებს ინტერესს ინგლისურენოვანი ქვეყნების კულტურის მიმართ. კანადელი მეცნიერები გვთავაზობენ უფრო ინტერაქციულ მიდგომას, რომელიც მოიცავს ტურებს და ექსკურსიებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს ქვეყნების კულტურის შესწავლისას და გვადლევს შედეგს.

**პრაქტიკული აპლიკაცია სკოლაში:**

თანამედროვე პირობებში საკმაოდ რთულია გააკეთო ტურები, ექსკურსიები, გამოფენები, რომლებიც წარმოადგენს ინგლისურენოვანი ქვეყნების კულტურას. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია მონოტონური ანგარიშების სტილი ჩავანაცვლოთ ნათელი გაკვეთილებით: “წარმოსახვითი მოგზაურობა“, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ზოგიერთი საინტერესო ინფორმაცია განსაზღვრული კულტურული ასპექტების შესახებ და წარმოადგინონ ისინი სურათების, ვიდეოების ან როლების გათამაშებით ინგლისურენოვანი ქვეყნების მაცხოვრებლების ცხოვრებიდან. მასწავლებელს შეუძლია ითამაშოს ამ

წარმოსახვითი მოგზაურობის გიდის როლი.

აქედან გამომდინარე, კანადელი მეცნიერების კვლევის თვალთახედვის შესწავლა - ინგლისურის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიურ პლატფორმაზე მუშაობა, გვადლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ იმ მეთოდების პრაქტიკული დანერგვა, რომლებიც კანადის სკოლებში აქტიურად მუშავდება, გაამდიდრებს ჩვენი განმანათლებლების გამოცდილებას და გაზრდის ინგლისური ენის ფლობის დონეს.

ინგლისურის ან სხვა უცხო ენის ფსიქოლოგიური ბუნების პრობლემა სწავლების პროცესში ყურადღებას იმსახურებს, რადგან, შესაძლოა, მან დიდი დოზით გაზარდოს უკრაინელ მოსწავლეთა მოტივაცია. ასე რომ, სასწავლო პროცესის ფსიქოლოგიური ბუნების რეალიზაციის დანერგვა და განვითარება შესაძლოა მომავალი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური კვლევების საგანი გახდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jim Cummins, Rania Mirza, Saskia Stille «English Language Learners in Canadian Schools: Emerging Directions for School-Based Policies». – TESL Canada Journal/ Revue TESL du Canada. – Volume 29, Special issue 6, 2012  
Режим доступу: //http://journals.sfu.ca/tesl/index.php/tesl/article/viewFile/1121/940
2. Andrew Biemiller - Words for English-Language Learners. - TESL Canada Journal/ Revue TESL du Canada. – Volume 29, Special issue 6, 2012  
Режим доступу: //http://journals.sfu.ca/tesl/index.php/tesl/article/viewFile/1117/936
3. Lisa Leopold - Prewriting Tasks for Auditory, Visual, and Kinesthetic Learners.- TESL Canada Journal/ Revue TESL du Canada. – Volume 29.-№2.- 2012  
Режим доступу: // http://journals.sfu.ca/tesl/index.php/tesl/article/viewFile/1102/921
4. Catherine Broom - Perspectives Second-Language Learning Through Imaginative Theory.- TESL Canada Journal, Volume 28, Issue 2, 2011  
Режим доступу: // http://journals.sfu.ca/tesl/index.php/tesl/article/view/1068/887
5. Howard Gardner – Frames of mind. – New York. – Basic Books. – 1993. – 281 p
6. Gloria Paulik Sampson - Exporting Language Teaching Methods from Canada to China. - TESL Canada Journal/ Revue TESL du Canada. – Volume 1. - №1. - Jan. 1984
7. Кияк Т.Р. - Засади викладання іноземних мов в Україні в новітніх умовах пропозиції науково-методичної комісії МОН України з іноземної філології) - Лінгвістичні та методичні проблеми викладання іноземних мов у школі та ВНЗ. УДК 81'243. №6.- 2009
8. Мошков В.В. Навчання іноземних мов в Україні // Іноземні мови. – 2000. – № 1. – С. 6-9.
9. Практикум з методики викладання англійської мови у середніх навчальних закладах. Посібник. Вид. 2, доп. і перероб./ Кол. Авторів під керівн. С.Ю.Ніколаєвої. – К.:Ленвіт, 2004. – 360 с
10. Ветохов А.М. Психолого - педагогическая характеристика современных методов обучения иностранному языку в школе / А.М. Ветохов // Иноземні мови. - 2006. - № 1. - С. 25-28.
11. Ціпан Т.С. Розвиток комунікативних здібностей учнів при вивченні англійської мови / Т.С. Ціпан // Иноземні мови. - 2005. - № 2. - С. 51-56.
12. Скорнякова М.Є. Сучасні методи викладання англійської мови / М.Є. Скорнякова // Англійська мова та література. - 2005. - № 28. - С. 2-12.
13. Ветохов А.М. Психолого - педагогическая характеристика современных методов обучения иностранному языку в школе / А.М. Ветохов // Иноземні мови. - 2006. - № 1. -. 25-28.